სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/257

ქ. თბილისი 28 ივნისი 2019

სტუ-ის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის განყოფილებათა დასახელებების კორექტირების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორის ბ-ნ ნ. ყავლაშვილის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ივნისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დაკორექტირდეს სტუ-ის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის განყოფილებათა დასახელებები შემდეგნაირად:
   - ოპტიმალური მართვის პრობლემების განყოფილებას შეეცვალოს დასახელება და ეწოდოს მინდია სალუქვაძის სახელობის სისტემების იდენტიფიკაციისა და ოპტიმალური მართვის განყოფილება;
   - ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის მანქანური ინტელექტის პრობლემების განყოფილებას შეეცვალოს დასახელება და ეწოდოს ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის ხელოვნური ინტელექტის პრობლემების განყოფილება;

- მართვის სისტემებისა და მოდელირების განყოფილებას შეეცვალოს დასახელება და ეწოდოს მართვის პროცესებისა და მოწყობილობების განყოფილება;
- ენერგეტიკის პრობლემების განყოფილებას შეეცვალოს დასახელება და ეწოდოს ვახტანგ გომელაურის სახელობის ენერგოსისტემების სტრუქტურისა და ენერგოდანადგარების ოპტიმიზაციის განყოფილება;
- ენობრივი და სამეტყველო სისტემების განყოფილებას შეეცვალოს დასახელება და ეწოდოს ენობრივი მოდელირების განყოფილება.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**